# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 40 კაპ.

საქართველოს მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 25 კვირა, 25 აგვისტო 1918 წ. № 25



მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.


**თავ. ივანე და გიორგი ნაკაშიძეები**

აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 24 აგვისტოს დილით, არა ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი რძალი

**კნ. ადელაიდა ლეონის ასული ნაკაშიძისა.**

პანაშვიდი დანიშნულია კვირას, 25 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, ცხედრის გამოსვენება ორშაბათს 26 აგვისტოს, ნაშუადღევის $5^1/_2$ საათზე (სემიონოვის ქ., № 16) ლიუტერანთა ეკლესიაში და იქიდან ლიუტერანთა სასაფლაოზე.

**კნ. მარიამ იოთამის ასული აბხაზისა**

აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 24 აგვისტოს დილით, არა ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი საყვარელი ძალუა

**კნ. ადელაიდა ლეონის ასული ნაკაშიძისა.**

პანაშვიდი დანიშნულია კვირას, 25 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, ცხედრის გამოსვენება ორშაბათს, 26 აგვისტოს ნაშუადღევის $5^1/_2$ საათზე (სემიონოვის ქ., № 16) ლიუტერანთა ეკლესიაში და იქიდან ლიუტერანთა სასაფლაოზე.

## განცხადება.

საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოება (ყოფილი კავკასიის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოება) რეგისტრაციისათვის იწვევს საზოგადოების ყველა წევრებს მთავარ კონტორაში (კირკის ქუჩა № 9): 10—2 საათამდე. სარეგისტრაციოთ. წევრმა უნდა წარმოადგინოს: საპაიო წიგნაკი, საწევრო ბილეთი, საქონლის მისაღები წიგნაკი და პიროვნების დამამოწმებელი საბუთი. რეგისტრაციისათვის აუცილებელია წიგნაკის პატრონის პირადად გამოცხადება, რადგანაც ვექილობა წიგნაკის სარეგისტრაციოთ არ მიიღება. რეგისტრაცია გაგრძელდება გამოცხადების დღიდან ამ წლის 1 ოქტომბრამდე. შემდეგ კი საქონლის მიღება შეიძლება მხოლოდ იმ წიგნაკებით, რომლებსაც რეგისტრაცია ექნება გაკეთებული. სხვა ქალაქების მცხოვრებთათვის რეგისტრაცია გაგრძელდება შემდეგ.

მთავრობის კომისია

საზოგადოების გამგეობა

გამგეობის თავმჯდომარის მაგივრად კ. ლომიძე.

## განცხადება.

### სენაკის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

ამით აცხადებს, რომ სენაკის მაზრაში საერობო არჩევნები უკვე დამთავრდა. ხმოსნებად არჩეული არიან შემდეგი პირები: 1, სალაყაია იოსებ ბეჟანისძე, 2. ჩხეტია იპოლიტე მიხეილისძე, 3. გეგენავა ლავრენტი ტაიასძე, 4. ძველაია ბარნაბ პავლესძე, 5. ქავთარაძე პეტრე პავლესძე, 6. თევზაია ბიქტორ ვასილისძე, 7. ხაჟომია ილია პროხორესძე, 8. როგავა ევტროპი თედორესძე, 9. ჩიქოვანი ყირიმ ტარიელისძე, 10. პერტია ისიდორე ქუჩუსძე, 11. მალნარაძე გიორგი ისიდორესძე, 12. კეკელია მიხეილ ანტონისძე, 13. ცანავა ალექსანდრე გაბრიელისძე, 14. ჩაჩიბაია ილია დათასძე, 15. დარციმელია ლევან კონსტანტინესძე, 16. დავითაია ლუკა კოსტასძე, 17. ჟორდანია იასონ ისიდორესძე, 18. ბოკერია გიორგი ლავრენტისძე, 19. ქოიავა გრიგოლ დიმიტრისძე, 20. ადანაია სოლომონ ივანესძე, 21. მეფარიშვილი გედეონ ლაზარესძე, 22. თოფურიძე გრიგოლ ათანასესძე, 23. ფულარია ევგენი ალექსისძე, 24. პირტახია კოსტა ნიკოსძე, 25. მამამთავრიშვილი გრიგოლ დავითისძე, 26. ქობალავა პეტრე როსტომისძე, 27. დონდუა ბესარიონ იოსებისძე, 28. კორძაია ალექსანდრე ბეგლარისძე, 29. ტუღუში ლავრენტი მაქსიმესძე, 30. ნიკოლაძე ნიკოლოზ იაკობისძე, 31, საბახტარაშვილი მიხეილ ალექსანდრესძე, 32 დემურია ვლადიმერ ბეკოსძე.

#### კანდიდატებად.

1. ჰუბაბრია კონსტანტინე გიორგისძე, 2. კოკაია ივლიანე კონდრატისძე, 3. კვირკელია პორფირი სესიკასძე 4. ქურულორია დომენტი როსტომისძე 5. გაგუა ლუხუ ბუტუსძე, 6. ბერულავა პეტრე ბეკოსძე, 7. კოტია ესტატე ზალიკასძე, 8. ჯიქია ვასილი, 9. კიკალიშვილი ლუკა ვარდენისძე, 10. ჩოჩია ფილიპე ალექსისძე. 11. თოფურიძე ანდრია ივანესძე, 12. ხარბედია ბიქტორ მიხეილისძე, 13. ჩაჩავა იასონ ილიასძე, 14. კიზირია ალექსანდრე ნესტორისძე, 15. მიგინეიშვილი ლუკა დათასძე, 16. ესაკია მიხეილ ბესარიონისძე, 17. ნადარეიშვილი სიმონ ივანესძე, 18. ზოდელავა ლევან ალექსისძე, 19. გაგუა სტეფანე დავითისძე, 20. ხოფერია ვლადიმერ დიმიტრისძე.

პირველი საერობო ყრილობა გაიხსნება, კვირას 15 სექტემბერს (ახ. სტ.) დილის 10 საათზე ქ. ახალ-სენაკში, ქალაქის თვითმართველობის შენობაში. ზემოდ ჩამოთვლილ ხმოსნებს ვსთხოვთ უეჭველად გამოცხადნენ ყრილობაზე. კანდიდატები გაძევებულ იქმნებიან იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ხმოსანთაგანი ყრილობაზე არ გამოცხადდა.

3—1.

პრეზიდიუმი.

## თბილისის კონსერვატორია.

მისაღები გამოცდები დაიწყება 10 სექტემბრიდან. თხოვნების მიღება კონსერვატორიის კანცელარიაში (გრიბოედოვის ქ., № 8) ორშაბათობით და ხუთშაბათობით დილის 11—1 საათამდე. სწავლის ფასი სიმღერის კლასებში 350 მან. წელიწადში, დანარჩენ კლასებში 300 მან. სწავლის ფასი გადახდებათ ნახევარის წლობით. სწავლა დაიწყება 20 სექტემბერს.

6—6

## ოფიციალური განყოფილება

### ბრძანება

სათავადო სასამართლოს უფროსისა.

№ 46.

1918 წელს, 16 აგვისტოს, თბილისის სამოსამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარის ამავე პალატის პროკურორთან შეთანხმებით 407 მუხ. ძალით დაადგინა: ა. მ. ვერულაშვილი, რომელმაც დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, დაინიშნა უმცროს კანდიდატათ სასამართლოს თანამდებობაზე ქუთაისის საოლქო სასამართლოში.

№ 47.

1918 წ. 17 აგვისტოს თბილისის სამოსამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ, ამავე პალატის პროკურორთან შეთანხმებით 407 მუხ. ძალით დაადგინა: ა. დ. თუმანიშვილი, რომელმაც დაამთავრა იურიდიული ფაკულტე პეტროგრადის უნივერსიტეტისა, დანიშნულია უმცროს კანდიდატათ სასამართლოს თანამდებობაზე თბილისის სამოსამართლო პალატაში.

№ 48.

1918 წლის 22 აგვისტოს თბილისის სამოსამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ, ამავე პალატის პროკურორთან შეთანხმებით, 414 მუხ. ძალით დაადგინა: თბილისის სამოსამართლო პალატის უმცროსი კანდიდატი სასამართლოს თანამდებობაზე, თუმანიშვილი დროებით სამუშაოთ იგზავნება პალატის სამოქალაქო დეპარტამენტის პალატის კანცელარიაში.

№ 58.

თბილისის სამოსამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ, თანახმად იუსტიციის მინისტრის განკარგულებისა, ამა წლის 20 აგვ. № 859, დაადგინა: თბილისის სამოსამართლო პალატის მდივნის თანაშემწე მძინარაშვილი გაგზავნილ იქნეს დროებით სამუშაოდ ქ. თბილისის სარევოლიუციო ტრიბუნალის კანცელარიაში.

უფროსი თავმჯდომარე მ ღ ვ დ ლ ი შ ვ ი ლ ი

### ამონაწერი

თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანების წიგნიდან.

2 აგვ. 1918 წ.

№ 99.

20 აგვისტოს სასამართლოს თავმჯდომარე პ. კიზირია შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას.

№ 100.

ნიკოლოზ თედორესძე ბახი დაშვებულია სამუშაოდ თავისუფალ ქირით, თბილისის საოლქო სასამართლოს კანცელარიაში.

თავმჯდ. პ. კ ი ზ ი რ ი ა.

21 აგვისტ. 1918 წ.

№ 101.

ამ სასამართლოს კანცელიარიის მოსამსახურე ბახი დროებით იგზავნება სამუშაოდ ამ სასამართლოს ნოტარიალურ არხივში უფროსი ნოტარიუსის თანაშემწის თანამდებობის ასასრულებლად.

## შესწორება

გაზეთ „საქ. რესპუბლიკის“ მე-23 №-ში (ამა წლის აგვისტოს 23, პარასკევი) გამოქვეყნებულია.

1. სამხედრო სამსახურში დატოვებისა და ჯარში გაწვევის იმ პირთა, რომელნიც დაბადებულან 1896—1899 წ.წ. კანონის მე-3 მუხლში დაბადებულთა წელიწადად ნაჩვენებია „1896“, უნდა იყოს 1899.

2. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის დებულების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტ.—უკანასკნელ სტრიქონში დაბეჭდილია „დირექტორობა“,—უნდა იყოს „რედაქტორობა“.

3. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგრისა და მუდმივი ჯარის შევსების ძირითად დებულების მე-10 მუხლის 1-ლ პუნქტ. უკანასკნელ სტრიქონში—დაბეჭდილია „ჯარში“—უნდა იყოს „ჯერში“.

## არა ოფიციალური განყოფილება.

თბილისი, 25 აგვისტო.

კეთილი სურვილები საქართველოს დემოკრატიული მთავრობისა ამჟღავნებს ვერ პოულობენ სწრაფ განსახიერებას ჩვენს ცხოვრებაში. გარეშე მტერთა მახვილი საქართველოს გულში ჩასაცემათ გამოწვდილი და შინაური შავი ძალების სისინი და ბნელი მოღვაწეობა აღვივებდენ და აძლიერებდენ ძველი სახელმწიფოებრივი მექანიზმის დაშლით გამოწვეულ მოუწყობლობას და საგრძნობლათ ხელს [illegible]დენ მთავრობას საჭირო და აუცილებელ რეფორმათა ცხოვრებაში გატარებას.

საუბედუროთ, ჟანგი, რომელიც მოაწყვეს ხალხის მტრებმა ჯერ ყველგან სავსებით არ განელებულა და მოწყობილ ამბოხებათა გავლენა კიდევ ემჩნევა ჩვენს პოლიტიკურ ყოფა-ცხოვრებას.

განსაკუთრებით პროვინცია, სოფელი, რომელიც ბოლშევიკების წყალობით ცეცხლსა და კომლში ეხვევა, მწვავეთ გრძნობს აბობოქრებულ ზვირთთა შეუჩერებლივ ცემას, სწორეთ სოფელში ცხოვრების მიმდინარეობა ჯერ კიდევ ვერ ჩაეშვა სავსებით სამშვიდობო კალაპოტში და რაც დრო მიდის და ეს მოუწესრიგებლობა გრძელდება სოფელი უფრო და უფრო სწუხს იმიტომ რომ მშვიდობიანობა და მყუდროება სწყურია.

ბნელი ძალები, საქართველოს დემოკრატიის დაუძინებელი მტრები, ყოველგვარი ხრიკებით გარს ეხვევიან შეწუხებულ სოფელს, სარგებლობენ მისი სულიერი დრტვინვით, ამხედრებენ მთავრობის

წინაალმდეგ, უსპობენ მთავრობას საშუალების სოფლის ცხოვრების ჭრილობებს მალამო დასდონ და ასე უსირცხვილოთ სოფელს განსაცდელში აყენებენ.

სოფელში ბევრი რამ არის მოსაწესრიგებელი: მიწის საკითხი, რომელიც სწორეთ სოფლის ცხოვრებასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული, თუმცა პრინციპიალურათ მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ არის გადაჭრილი, მაგრამ კანონის გატარება გვიანდება სოფელში დაწყებულ ამბოხებათა გამო; ბევრ კუთხეებში მიწები ჩამოართმეული და მიღებული არ არის; სოფელს აკლია სამართალი, ძლიერი და გონიერი ადმინისტრაცია, ერთი სიტყვით ყოველ ნაირ სოფლის ცხოვრებისა თვითეულ დარგის გამთელებას, მოწყობას, განწესრიგებას.

მთავრობა ძალიან ცდილობს, რომ სოფლის ცხოვრება წესიერ კალაპოტში ჩადგას, მოაწყოს სამართალი, ძიების ნორმას კარგი ადმინისტრაცია და სხვა.

მაგრამ მთავრობას ისიც კარგათ აქვს გათვალისწინებული, რომ ერობის საშუალებით უკეთ მოეწყობა და ჩატარდება საერო ღეფორმები, ამიტომ ერობის შემოღება საქართველოში ყოველგან—აი რას მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება.

ერობას დიდი მნიშვნელობა აქვს, ის ადგილობრივ ძალთა ორგანიზაცია, ერობა ადმინისტრატიულ და ეკონომიური საკითხების მოწესრიგების საქმეებში უბადლო საშუალებაა. დემოკრატია საერობო ინსტიტუტის საშუალებით სათავეში უდგება ადგილობრივ საქმეებს და საკუთარ ძალთა შემწეობით თავის ადგილობრივ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს. ადმინისტრაცია, სკოლა, სამართალი, საშეურნეო საქმეები — ყველა ეს ერობის კომპეტენციაში შედის, ყველა ასეთ საქმეს ერობა განაგებს, ერობა ხელმძღვანელობს.

ზოგიერთ კუთხეებში კიდეც დაიწყო საერობო არჩევნები, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ საერობო კამპანიამ არ მიიზიდა თავისკენ საზოგადოებრივი ყურადღება, ვერ აამოძრავა საზოგადოებრივი წრეები. არჩევნები მკრთალათ ტარდება. ასეთი საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმი პოლიტიკური სიცხოველის განელების მაჩვენელია, საზოგადოება, როგორც ემჩნევა, დაღლილა და ეს პსიხოლოგიური რეაქცია საარჩევნო აბსენტეიზმში იხატება.

მაგ; ქუთაისში ოცი ათასზე მეტი ამრჩევლები იყვნენ შეტანილი საარჩევნო სიაში, მაგრამ აქედან არჩევნებში მონაწილეობას ოთხი ათასზე ცოტა მეტი იღებს. მართალია, არჩევნებში სოციალისტური ბლოკი იმარჯვებს, მაგრამ ერობის ავტორიტეტი მეტს მოიგებდა, რომ ჩვენი ხალხის უფრო საგრძნობი ნაწილი ჩაბმულიყო საერობო არჩევნების კამპანიაში.

ძნელი და ფრიად საპასუხისმგებლო მოვალეობა დააკისრა ისტორიამ ერობის პირველ მოღვაწეთ. განსაკუთრებული მუყაითობა, იშვიათი საქმიანობა უნდა გააჩინონ მათ, რომ ფართო მასის თანაგრძნობა დაიმსახურონ, ერობა ხალხს დაუახლოვონ, შეაყვარონ, რომ მომავალ საერობო არჩევნებში ხალხის მონაწილეობა უფრო საგრძნობი გახდეს.

## პრესის მიმოხილვა.

მარიამობისთვის 13-ის „კიევსკაია მისლ“-ში მოთავსებულია თბილისის საზოგადოებისათვის კარგად ცნობილ სტანისლავ ვოლსკის წერილი „კავკასიაში“. მთელი წერილი ისეა დაწერილი, რომ გამოდის მიმართული საქართველოს დამოუკიდებლობის წინაალმდეგ. ჩვენ არ გვინდა გაზეთის ფურცლებზე მოვიყვანოთ ის უმარილო ირონიით გაჟღენთილი სტრიქონები, რომლითაც ის ეხება ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრების ხელმძღვანელთ, მაგრამ იძულებულნი ვართ ანგარიში გაუწიოთ იმ ყალბ ცნობებს, რომელსაც აწვდის ბატონი ვოლსკი „კიევსკაია მისლს“.

## ჩვენი დელეგაცია ბერლინში.



დგანან: ს. კედია, გ. მაჩაბელი, მ. წერეთელი.
სხედან; ნ. ნიკოლაძე, ა. ჩხენკელი, ზ. ავალიშვილი.

„ბოლშევიკურ განწყობილების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ, სხვათა შორის ჩაითვლება რუსეთთან გაერთიანების სტიქიური სურვილი. მასის თვალში ბოლშევიკური მთავრობა ეს არის რუსეთის სიმბოლო, არა საბჭოთა რუსეთის, არამედ რუსეთის, როგორც სახელმწიფოებრივ მთლიან ერთეულის“.

ჩვენ ამ სიტყვებზე დიდხანს არ გამოვეკიდებით ბატონ ვოლსკის. ვსთქვათ, რომ შეუგენბელი მასის თვალში საბჭოთა რუსეთი მართლა დიდ რუსეთად ითვლება, ვთქვათ, რომ მართლა

„ბოლშევიზმს მასსა უყურებს არა როგორც პროგრამას, არა როგორც პარტიას, არამედ როგორც იმ საგარეო ძალას, რომელსაც შეუძლიან ოსმალთა საფრთხის აცილება და ნაწილებად დაყოფილ მთლიან ერთეულის გამთელება“,

მხოლოდ ვეკითხებით ბ-ნ ვოლსკის—თუნდაც, რომ ასე იყოს შეუგნებელი მასის თვალში, ნუ თუ ეს ავალებს საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელებს, რომ მათაც ასეთი სიყალბე გაიზიარონ რუსეთის შესახებ? ნუ თუ მთავრობას უნდა ეფიქრა, რომ

„სამხედრო გზის გახსნა რუს ეშელონებისათვის, რომელთაც უნდა გაეწმინდათ ამიერ-კავკასია ოსმალთა ასკერების ურდოებისგან“

იხსნიდა საქართველოს? ბ-ნ ვოლსკის ჰგონია, რომ

„მცხოვრებთა ფართე წრეები, როგორლაც სერიოზულად არ სცნობენ არც თავიანთ დამოუკიდებლობას და არც საკუთარ ბონებს ილებენ“.

ეს, რასაკვირველია, სიმართლეს მოკლებულია, და ვწუხვართ, რომ სტ. ვოლსკი რუსეთს სწორ ცნობებს არ აძლევს საქართველოს მდგომარეობის შესახებ.

## გერმანული პრესა.

„Kaukassche Post“-ი სწერს:

ქართულ-გერმანულ კულტურულ საზოგადოების საერთო კრებას, რომელიც კვირას 18 ამ თვეს შესდგა, სამწუხაროდ, წევრნი ცოტა დაესწრენ; აზრის გაცვლა-გამოცვლის შემდეგ საზოგადოების დებულებანი დამტკიცებულ იქმნენ. გამგეობის და სექციების წევრთა არჩევნები შემდეგისათვის გადადეს.

ეს მეორედ გამოსთქვამს „Kaukassche Post“-ი თავის მწუხარებას იმის შესახებ, რომ კრებას საზოგადოების წევრნი ცოტა დაესწრენ.

ჩვენ ამ საზოგადოებას დიდ კულტურულ მნიშვნელობას ვაძლევთ, რაც პირველ კრებაზე საზოგადოების გახსნის დღეს ნათლად და სავსებით იყო აღნიშნული ბ. მარგველაშვილის მიერ. მართალია, წევრთ სხვა საჭირ ბოროტო საქმეებიც ბევრი აქვთ ამ ჟამად, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მათ უნდა გაათკეცონ ენერგია, რათა ამ საზოგადოების გასაძლიერებლად იმოქმედონ და უპირველეს ყოვლისა კრებებს დაესწრონ ხოლმე.

იგივე გაზეთი საქართველოს სამხედრო გზის დასაცავად გერმანული ჯარის გაგზავნის შესახებ სწერს: ეს დაცვის ზომები დასახელებული გზის სტრატეგიული მნიშვნელობით არის გამოწვეული. ბრძოლა, რომელიც სწარმოებს თვით ვლადიკავკავში და აგრეთვე მის მიდამოებში „ბოლშევიკებსა“ და ინგუშებს შორის ერთი მხრით და თერგის კაზაკების და ოსების შორის მეორე მხრით, მოითხოვს ხანგრძლივ დაცვას საზღვრებისას, რომ ამ მებრძოლ პარტიებმა არ გადმოლახონ ის. საქართველოს რესპუბლიკის შინაურ საქმეთა ჩარევის შესახებ გერმანული ჯარის მხრით, ამ შემთხვევაში ლაპარაკი არ შეიძლება, რადგანაც საზღვრების ამ მხრივი დაცვა საქართველოს მთავრობის მოვალეობას შეადგენს. ანარქიასთან ბრძოლა, რამდენათ ეს უკანასკნელი თავს იჩენს დუშეთის მაზრაში, როგორც წინეთ ისე ეხლაც, ქართული მთავრობის საქმეა. მხოლოდ რამდენად შეიძლება, რომ ეს ორივე გარემოებანი ე. ი. ანარქია და ის, რაც თერგის ოლქში ხდება, ურთი-ერთ შორის დაკავშირებული იყვნენ, იმდენათ გერმანულ და ქართულ ჯარის საერთო მოქმედება უნდა სწარმოებდეს“.

### გრაფ მირბახის მკვლელები.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი № 390-ში გადმოგვცემს: გრაფ მირბახის მკლელები რუსული პრესის ცნობების თანახმად ინგლისში გაიქცნენ. მკვლელობის ჩადენის შემდეგ ისინი მაშინვე პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ გაიქცენ და არა უკრაინაში, როგორც ეს წინეთ ეგონათ. ისინი პეტროგრადში არ შესულან, მხოლოდ მურმანში მისვლისთანავე, ინგლისის ორთქმავალში დამალულან და იქ დარჩენილან სანამდე ინგლისში წავიდოდნენ. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ წინეთ გერმანიის ელჩის გრაფ მირბახის მკვლელები საბჭოს მთავრობის საიდუმლო აგენტები იყვნენ.

### „ბოლშევიკები“ ვლადივოსტოკში.

რეიტერი იტყობინება: ვლადივოსტოკში, ქალაქის ხმოსნების არჩევნების დროს უმეტესობამ „ბოლშევიკებს“ მისცა ხმა, რაც ქალაქის თავის არჩევნებშიაც მათ გამარჯვებას მოუტანს.

## პროფ. ცუგმაიერთან

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან გერმანიის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარე პროფესორ ცუგმაირს ჰქონდა ბაასი მთელ რიგ პოლიტიკური საკითხების შესახებ.

### ბაქოს ფრონტის შესახებ

სამხედრო ოპერაციების შესახებ, სთქვა პროფესორმა, არ შეიძლება რამე გამოვაქვეყნოთ, ვიტყვი მხოლოდ, რომ სამი დღის წინათ ოსმალეთის ჯარი იდგა სადგურ პუტასა და ეიბატში, რომელნიც, როგორც ვიცით სულ ახლოს არიან ბაქოზე; მაშასადამე შემახას აღებისა და აჯიქაბულის დაკავებაზე ბაქოს ჯარის მიერ ზედმეტია ლაპარაკი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელ დღეებში ბაქოს ფრონტზე ოსმალეთის ჯარი საგრძნობლად გაძლიერდა ახალი სათადარიგო ლაშქრის მომატებით. ჩვენი თანამშრომლის შენიშვნაზე იმის შესახებ, რომ ინგლისელებს ბაქოში ჩამოსვლისათანავე გამოუთქვამთ იმედი თბილისში ჩამოსვლისა და საერთოდ აქეთკენ წამოსვლისა, პროფესორ ცუგმაიერმა მტკიცეთ განაცხადა: ამ მხრით სრული სიმშვიდით შეიძლება მომავალს უყუროთ, ინგლისელები ვერას დროს ვერ ეღირსებიან ამას. ისინი საზოგადოთ ბაქოდან შორს ვერ წამოიწევენ წინ.

### საფრანგეთის ფრონტი

ფრანგებს და ინგლისელებს დასავლეთის ფრონტზე ჰქონდათ განზრახვა ჩვენი ფრონტი შუაზე გაერღვიათ. იგივე განზრახვა აქვთ მათ დღესაც, მაგრამ ამ მიზანს მათ ვერ მიაღწიეს და უკანასკნელი ცნობების თანახმად მათი შეტევა საზოგადოთ შეჩერებულია. არავითარი საფრთხე, რასაკვირველია, ჩვენ დასავლეთის ფრონტზე არ მოგველის.

### სალონიკის ფრონტი

ბალკანეთის ფრონტზე საზოგადოთ, და კერძოთ სალონიკის ფრონტის შესახებ ამ უკანასკნელ დროს არც პრესაში და არც საზოგადოებაში არა ისმის რა. ნამდვილათ კი ამ ფრონტს აქვს დიდი მნიშვნელობა იმ მხრით, რომ როგორც გერმანიაში უწოდებენ, იქ ჩვენ გვყავს „დატყვევებული“ 300,000 საფრანგეთ-ინგლისის ჯარი.

საქმე იმაშია, რომ ამ დიდ ჯარს არ შეუძლია წინ წაწევა, მაგრამ არ შეუძლია აგრეთვე უკან დახევაც. წინ წასაწევათ მას არ აქვს საკმაო ძალა, მხოლოდ თუ უკან დაიწევს, რაც მხოლოდ ზღვით შეიძლებოდა, მაშინ მზად არის დიდი რიცხვი ზღვის ქვეშ მავალ ნავებისა, რომელიც ევაკუაციის დროს მათ აუწერელ ზარალს მიაყენებს.

ამას გარდა მათი სალონიკიდან წასვლას თან მოჰყვება მათი პრესტიჟის დაცემა. ეს იქნება იგივე კატასტროფა, როგორიც მათ თავს დაატყდათ გალიპოლის ავანტიურის დროს. ამნაირათ, განიმეორა პროფესორმა, ეს 300,000 ინგლის-საფრანგეთის ჯარი დატყვევებული გვყავს.

### ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების შესახებ.

ჩვენი თანამშრომელი შეეკითხა პროფესორს გამოეთქვა აზრი იმ წერილის შესახებ, რომელიც ამ დღეებში „კავკ. სლ.“-ოს ჰქონდა მოთავსებული ბრესტ-ლიტოვსკის ხელ-შეკრულობის შესახებ:

პროფესორმა განაცხადა: ჩვენ შეურყევლათ ვსდგევართ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ნიადაგზე, თუმც ეს რამოდენიმეთ საზარალოა გერმანიის ინტერესებისთვის. ამიტომ გერმანია, იმ საზღვრებს, რომელიც იმ ხელშეკრულობით იყო აღნიშნული, არ გადასცილდება, მხოლოდ ეს გარემოება, რასაკვირველია, სრულიადაც არ ეწინაალმდეგება იმას, რომ ჩვენ, საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს დავიცავთ ყველგან თანახმათ საქართველოს მთავრობის სურვილისა. ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობას ყოველ შემთხვევაში ვიცავთ.

### გერმანიაში მყოფ ქართველ მოწაფეთა შესახებ.

შემდეგ პროფესორ ცუგმაიერმა ჩვენ თანამშრომელს გადმოსცა გერმანიიდან ამ დღეებში მოსული ამბები, რომელნიც იქ მყოფ ქართველ მოსწავლე ახალგაზდობას შეეხება. ბავარიაში, განმარტა პროფესორმა, არსებობს ცნობილი მონასტერი "Etthal"-ი, რომელსაც აქვს თავის სამაგალითო მოწყობილი გიმნაზია. ამ უკანასკნელში სამი წელიწადი იქნება რაც სწავლობს 10 ქართველი ბავშვი მონასტრის ხარჯზე, ეხლა კი ამ ქართველ ბავშვების შესანახათ და სასწავლებლათ გერმანიის მთავრობას გადაუდვია 15.000 მარკა.

ამის გარდა ბერლინში არსებულ გერმანულ-ქართულ კულტურულ საზოგადოებას ალუძრავს შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ მთავრობამ ნივთიერი დახმარება გაუწიოს ქართველ მოსწავლე ახალ-გაზდობას გერმანულ გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლებში.

გერმანიის მთავრობას ეს შუამდგომლობა შეუწყნარებია და იქ მყოფ და დარჩენილ ქართველთათვის დაუნიშნავს 1500 მარკა თვითეულისთვის წელიწადში. მხოლოდ, დაუმატა პროფესორმა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართველ-მოსწავლე ახალგაზდობა გერმანიაში მალე გამრავლდება.

## საყურადღეგოდ.

კავკასიაში გერმანიის საიმპერატორო დელეგაციის უფროსი გენერალ-მაიორი ბარონ ფონ-კრესი საყოველთაოდ აცხადებს შემდეგს:

დელეგაციაში მოდის მრავალი საჩივარი იმის შესახებ, რომ ფოთიდან ევროპის ნავთსადგურებში მიმავალ მგზავრებს გერმანიის ხომალდებზე საკმაო ყურადღებას ვერ აქცევენ.

განსაკუთრებით ვამბობ და ვაფთხილებ ყველას, რომ ფოთიდან მიმავალ მგზავრთა დიდი სიმრავლის გამო, მათი დაბინავება ხომალდებში ერთობ პრიმიტიული იქნება და ბევრ დაბრკოლებასთან არის დაკავშირებული. ამდენი მგზავრის კარგათ მოვლა გზაში კი შეუძლებელია დღევანდელ პირობებში.

გარდა ამისა, ვაფრთხილებ, რომ თვითეულმა მგზავრმა აუცილებლათ უნდა გაიაროს კარანტინი, რომელსაც თან ახლავს ბევრი უხერხულობა.

ის, ვისაც არ სურს შეურიგდეს, ომის დროის ასეთ დაბრკოლებას და უხერხულობას და ვისაც არ უნდა ანგარიში გაუწიოს მდინარე მომენტის შემაფერხებელ პირობებს, უკეთესი იქნება, რომ თავის მგზავრობა სხვა დროისთვის გადასდოს.

ყოველ შემთხვევაში გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებმა უნდა მოიხსნან ყოველი პასუხისმგებლობა შესახებ მგზავრთა შეუწყობელ მიმოსვლისა და მათი გამოკვებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეროვნული საბჭო

## მარიამობისთვის 2-ს სხდომა მე-26-ე.

შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი. ვინც დაუკვირდება უკანასნელ დროის მოძრაობას ის გადაჭრით დაინახავს, რომ მოძრაობას ასეთი ხასიათი აქვს.

სხვა და სხვა ჯურის ნაციონალისტები ცდილობენ ამ მოძრაობაში მონაწილეობა მიიღონ და ბოლშევიკურ სამოსლით გამოწყობილებმა გზა გაუკაფონ თავიანთ ნაციონალისტურ მიზნების განხორციელებას. ჩვენ ვიცით, რომ დუშეთის მაზრის აჯანყებაში გლეხების გარდა ბალშევიკებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ რუსი და სომეხი აფიცრები. სომხის ერთი ნაწილი, განსაკუთრებით ლტოლვილები, ბალშევიკებმა და ნაციონალისტებმა იარაღად გამოიყენეს, რომ გამოელაშქრებინათ ჩვენს წინაალმდეგ.

განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება სამხრეთი ოსეთი. იგი წარმოადგენს საუკეთესო ნიადაგს დემაგოგიისთვის. იქ აგრარული ურთიერთობა მეტად გამწვავებულია.

იქ არის დიდძალი ხიზნებისა, რომელთა აყრას არა ერთხელ მოითხოვდნენ ქართველი ნაციონალისტები.

ვინაიდან მდგომარეობა სწორედ ასეთია, ამიტომ ოსთა ნაციონალისტების ერთმა ნაწილმა და ბალშევიკებმა გამოიყენეს ხალხის უკმაყოფილება მემამულეთა წინაალმდეგ და ჩვენს მთავრობის წინაალმდეგ ააჯანყეს ერთი ნაწილი ოსებისა ცხინვალის, დუშეთის და საჩხერის რაიონებში.

ეს აჯანყება მოხდა განსაკუთრებით მას შემდეგ როცა ქართული სოფლები დამშვიდნენ და ჩვენი ჯარი მიუახლოვდა მათ სოფლებს, რასაკვირველია, დაიძრა ოსების ერთი ნაწილი მახლობელ სოფლებიდან და ჩვენს წინაალმდეგ წამოვიდა.

მაგრამ თუ კი თქვენ არ შეგიძლიანთ დუშეთის გლეხებს უწოდოთ მოღალატენი იმიტომ რომ, მათ შორის თავგამოდებულად მომუშავე საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებმა ფილიპე მახარაძემ და ქავთარაძემ შესძლეს გამოყენება გლეხთა უთანხმოებისა და გამოიყვანეს მთავრობის წინაალმდეგ, მით უფრო არ შეგვიძლიან ასე მოვექცეთ ოსებს, ვინაიდან მათ შორისაც არა ნაკლებ მოქმედებდნენ იგივე ბალშევიკების მეთაურნი. ჩვენ არ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ საჩხერეს მოძრაობა მოხდა განსაკუთრებით ოსების დანაშაულობით, არ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საჩხერის მაზრის მოძრაობაში მონაწილეობას იღებდნენ მარტო ოსები. მე მგონია, ეროვნულ დემოკრატიული ფრაქცია ხელმძღვანელობდა ერთი მოსაზრებით: განამტკიცოს ჩვენი რესპუბლიკის სუვერენიტეტი და დაიცვას მისი დამოუკიდებლობა.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, მთავრობა ღრმადაა დარწმუნებული, რომ შედეგი იქნება არა ის, რომ ჩვენი რესპუბლიკის გარშემო შეკავშირდებიან ჩვენი ძალები, არამედ ეს ხელს შეუწყობს ჩვენს დაქსაქსვას და მტრის გაძლიერებას. ეს კი ჩვენს სახელმწიფოს დაცემის ნიადაგს მოუმზადებს.

ვიმეორებ: არც ერთ მოძრაობას არ ჰქონია გარკვეული ეროვნული სახე.

ესე იგი მოძრაობა სოციალური. ხელმძღვანელობდნენ ბალშევიკებთან ერთად ზოგიერთა ნაციონალისტებიც, როგორც ეს დავინახეთ დუშეთის მაზრაში და საჩხერეში.

შეკითხვის ავტორი ხაზს უსვამს ერთ გარემოებას:—იგი გვეკითხება, თუ რით ჰსურს მთავრობას დააკმაყოფილოს დაზარალებულნი?

ეს სერიოზული საკითხია. ეს უნდა განხილულ იქნეს განსაკუთრებით. ამ საკითხის გადაწყვეტა შეიძლება არა შეკითხვით და მასზე მიღებულ პასუხით, არამედ საკანონმდებლო წინადადებით.

მრავალ ალაგას დაზარალდა ხალხი, მაგრამ ჯერ არსად ზარალი არ გამორკვეულა. ჩვენ მივანდეთ ქუთაისის გუბერნიის კომისარს გაიგოს ზარალი და შეგვატყობინოს.

რაც შეეხება მათ დაკმაყოფილებას, ეს დამოკიდებულია უპირველესად ჩვენ ფინანსიურ ვითარებაზე. ამ საკითხის გადაჭრას შეკითხვის დროს ვერ შეუდგებით. თუ ჩვენ დაინტერესებულნი ვართ გამოვაკვლიოთ ჩვენი სახელმწიფოებრივი ძლიერება—ეს დამოკიდებულია ფინანსიურ ძლიერებასთან, ამიტომ საკითხის ასე სხვათა შორის გადაჭრა შეუძლებელია. იგი შემდეგ უნდა იქმნას განხილული.

ამბოხება ერთია.—საინტერესოა ამბოხების შედეგები.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ბატონ გრიგოლ ვეშაპელს.

გრ. ვეშაპელი (ერ. დემ.). ბატონი შინაგან საქმეთა მინისტრი დარწმუნებულია დღესაც, როგორც არა ერთხელ უთქვამს, რომ ეროვნულ საბჭოს ყველა პარტია სდგას სახელმწიფოებრივ პოლიტიკის ნიადაგზედ, და ალბად ამის მიხედვით იძლევა პასუხს. ჩვენ გვეგონა და დარწმუნებულნი ვიყავით, რომ სოციალდემოკრატებიც იდგნენ სახელმწიფოებრივ პოლიტიკის ნიადაგზე და მთავრობაც სდგას სახელმწიფოებრივ თვალსაზრისზე.

ვეცდები ამის პასუხი მოგახსენოთ.

ბატონებო! ეს შეკითხვა დაგვიანებული გახლავთ. რეგლამენტში რომ იყო ნათქვამი: მთავრობამ შეკითხვაზე პასუხი უნდა გასცეს არა უგვიანეს ერთი კვირისა—აქ სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ გამოაცხადა, რომ ეს არის ვალი მთავრობისა და არა საბჭოსი. საბჭოს შეუძლია ვადა გაუდიდოსო. მთავრობას ამ გადიდებით სამი დღე მიემატა. მაგრამ სწორედ ამ სამ დღეში მე ერთი საყურადღებო გაზეთი ჩამივარდა ხელში და მე წინდაწინვე შევიტყვე თუ რას იტყოდა მთავრობა მანამდის, სანამდის შინაგან საქმეთა მინისტრი სიტყვას აიღებდა.

ქუთაისის გაზეთ „სოციალ-დემოკრატში" დაბეჭდილია შემდეგი განმარტება:

„გუბერნიის კომისარი შეეკითხა მთავრობას, თუ რა მასალები სჭირდებოდა ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის გამო შეტანილ შეკითხვაზე საჩხერეში მომხდარ ამბების შესახებ. ამაზედ მთავრობის წარმომადგენელმა აფაქიძემ შემდეგი უპასუხა: შეკითხვა წარმოდგენილია შემდეგი სახით: „შეკითხვა საჩხერის მხარის ოსთა აჯანყების შესახებ: საჩხერის მხარეში აჯანყების მთავარი ბრალი ედება ოსებს. რა ზომებს იღებს მთავრობა, რომ ზემო იმერეთი ისე, როგორც საქართველოს სხვა მხარეები საბოლოოდ უზრუნველყოფილი იქნას ოსთა ამგვარი მოძრაობისაგან. აგრეთვე რა ზომები მიიღო მთავრობამ აჯანყებისაგან დარბეულ მცხოვრებთა ზარალის ანაზღაურებისათვის.

მთავრობის წარმომადგენელს აფაქიძეს მეტის ცნობა საჭიროდ აღარ მიუჩნევია. ხოლო გუბერნიის კომისარს ბატონ ბენია ჩხიკვიშვილს კარგად დახსომებია რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს პრაქტიკა, როცა ახლანდელი ქართველი მინისტრები მაშინდელ ოპოზიციაში იდგნენ და ინტერპელიაციით მიმართვდნენ მინისტრებს,—თუ როგორ ეხმარებოდა მთავრობა მაშინ ადმინისტრაციის „კაზიონ" რაპორტებს.

აი გუბერნიის კომისრის პასუხიც. (კითხულობს).

„თბილისის შინაგან საქმეთა მინისტრს.

ნაციონალ დემოკრატების შეკითხვის პირველი მუხლის მიზანია საჩხერის რაიონის ბრბოთა მოძრაობა გამოიყვანოს ოსების ეროვნულ მოძრაობათ, რაც სავსებით სიმართლეს მოკლებულია".

ეს ასეთი ერთნაირი გაგება მოწინააღმდეგე პარტიის შეკითხვის მიზნისა ფრაქციის და გუბერნიის კომისრის მიერ-იმას მოწმობს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს მეტად ჰკუა მახვილ გუბერნიის კომისართან (განაგრძობს კითხვას).

„ოსები აჯანყებულია თითქმის იმავე მოტივებით როგორც ქართველები"...

ალბად გუბერნიის კომისარს უსწავლია თუ, რა შემწეობას, რა დახმარებას აძლევს ადმინისტრაციას თუნდაც ერთის სიტყვის „თითქმის"-ის ჩამატება. (განაგრძობს კითხვას)... ეს მოტივები კია გაჭირვება, შეუგნებლობა და ბალშევიკების პროვოკაცია...

საწყალი ბოლშევიკები! გუბერნიის კომისარი ყოველ არეულობას და აჯანყებას ბოლშევიკებს აწერს. (განაგრძობს კითხვას). „მხოლოდ უფრო გააფითრებით იღებს მონაწილეობას ამ მათთვის დამღუპველ ამბოხებაში მთავრობის ჯარები და მისი ხელმძღვანელები ერთგვარი სამართლიანობით და საზომით შეხვდნენ როგორც ოსთა, აგრეთვე ქართველ ბანდების კონტრ-რევოლილიუციონურ გამოსვლებს"...

ბოლშევიკების შემდეგ გამოვიდნენ უკვე კონტრ-რევოლიუციონერები. სოციალ-დემოკრატებს,—მენშევიკებს ჩვეულებად აქვთ ყოველგვარი მოვლენა სახელმწიფოს ცხოვრებიდგან ერთ შკაფის კუთხეში ჩააწყონ, გაუკეთონ წარწერა, ბოლშევიკური ეტიკეტი, მიაკრან ნომერი და დაასვენონ.

„ავიწყდებათ, რომ „ბოლშევიკობა" მხოლოდ სახელია და საქართველოში ბოლშევიკების სახრავი სახელმწიფოებრივობის მოწინააღმდეგე ერებს ეკუთვნის—რუსებს, სომხებს და ოსებს"...

(განაგრძობს კითხვას).

ერთგვარი სასტიკი და მიზან-შეწონილი ზომებით შეებრძოლა მათ, ჯერ დაიმორჩილა უფრო ახლო მდებარე სოფლები და შემდეგ შორეულები.

გუბერნიის კომისარს იმდენად შეუსწავლია სტრატეგია, რომ იცის ჯერ იმორჩილებენ მახლობელ სოფლებს და შემდეგ შორეულებს.

(განაგრძობს კითხვას).

ოპერაციები ჯერ არ მოთავებულა, მაგრამ მთავრობას სრული იმედი აქვს, რომ რესპუბლიკის ჯარი და გვარდია შესძლებს დემოკრატიულ საქართველოს დაცვას და მისი მტრების ალაგმვას, რაც შეეხება დარბეულ მცხოვრებთა ზარალის ანაზღაურებას, ჯერ მაგაზე ლაპარაკი შეუძლებელია. მხოლოდ სრული სიწყნარის დამყარების შემდეგ შეიძლება ის გამოირკვეს. მთავარი კითხვა ის კი არაა, ვინაა დარბეული, არამედ ის, თუ რისთვის არის დარბეული და დაზარალებული. მთავრობა ვერ ააშენებს იმ გადამწვარ სახლის მაგიერ მეორეს, რომლიდანაც ბანდები ჩასაფრებულნი ტყვიებით უმასპინძლდებოდენ რესპუბლიკის დამცველ ჯარებს და გვარდიელებს. მთავრობა ვერ აანაზღაურებს ვერც იმ ზარალს, რაც ოსების ბანდებმა ქართველებს და კიდევ ქართველებმა ოსებს მიაყენეს, ამაში ბრალი თვით მეამბოხეთ ედება და პასუხის მგებლობაც მათ დაეკისრება. ნაციონალ-დემოკრატების აზრით, ოსთა ნაძირალების ყაჩაღობა საერთოთ ოსების ეროვნულ მოძრაობათ გამოაცხადეს, რომ ამით ოსები ერთიანათ ქართველებს დაუპირდაპირონ, ეროვნული შუღლი უფრო გაამწვავონ. როგორც ხედავთ, ეგ მართალი არ არის, ამის დამამტკიცებელი საბუთია საქართველოს რესპუბლიკის სხვა კუთხეებშიაც მომხდარი გამოსვლები, სადაც ნაძირალები და კონტრ-რევოლუციონერები, განურჩევლად ეროვნებისა, ყველგან ერთად ირაზმებიან. იმათ შესამუსრავად დემოკრ. საქართველოს მთავრობა ეყრდნობა ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ერების დემოკრატიას და ესაა უტყუარი საბუთი ჩვენი სალი საშინაო პოლიტიკისა. მეორე დაფარული მოსაზრება შეკითხვისა არის ხაზის გასმა მთავრობის სიუძლურეზე, რომ აქედან შემდეგ შესაფერი დასკვნა გამოიყვანონ ეროვნულმა დემოკ. გარეშე ძალის შინაურ საქმეებში ჩარევის შესახებ „ამბოხების" ჩასაქრობად. ეს მათი მიზანია სხვა უფრო ღრმა მოსაზრებით გამოწვეული, მაგრამ საქართველოს დემოკრატიამ დაამტკიცა, რომ ეს დასკვნა უსაფუძლოა და ყოველ შემთხვევაში ძალიან ნაადრევი. მთავრობა დემოკრატიის მიერ ზურგ-გამაგრებული შესძლებს თავისი ძალებით რესპუბლიკის და დემოკრატიის მტრების ალაგმვას".

განაგრძობს თავის ანალიზებს გუბერნიის კომისარი. ძალიან დახელოვნებული კი ყოფილა ქუთაისის გუბერნიის კომისარი დაფარულ აზრების გარკვევაში. შეიძლება ფრაქციისთვის უფრო გამოსადეგი იყოს, აქ რომ იყოს.

სხვათა შორის გუბერნიის კომისარი სწორედ იმ დროს სწერდა ასეთს რეზოლიუციას, როდესაც ქუთაისში უკვე ჩასული იყო გერმანული ეშელონი.

როდესაც ეს წავიკითხე მე დავრწმუნდი, თუ რას იტყოდა შინაგან საქმეთა მინისტრი. მოდი და ნუ ისარგებლებთ ასეთ დამზადებულ პასუხით. (სიტყვის გაგრძელება შემდეგ ნომერში).

# დეპეშები.

(დეპეშათა სააგენტო)

23 აგვისტო

ბერლინი, 21 აგვისტო. „ტრანს-ოკეანეს პრესის" სამხედრო რეპორტიორი ფრონტიდან გვატყობინებს: მძიმე ზარალმა მოწინააღმდეგე აიძულა რამოდენიმე დღე დაესვენა.

ამ დროს მხოლოდ ნაწილობრივი სასტიკი შეტაკებები იყო. 16 აგვისტოს შუადღისას ფოშმა განაახლა ბრძოლა ავრას ორივე მხრით. მტერმა იერიში მოიტანა რუაზე, ალბათ იმ მიზნით, რომ ფრონტი გაერღვია. ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ მტერმა დაიწყო შეტევები, რომლებიც ჩვენ მალე მოვიგერიეთ. ამ დროს ჩვენმა ქვეითა ჯარმა თავი ისახელა. მტრის ზარალი დიდია. ქვეითა ჯარების შეტევების შემდეგ დაიწყო საარტილერიო ბრძოლა. მიუხედავათ იმისა, რომ მტერი ძლიერ ცდილობდა, მან მაინც ვერ გაიმარჯვა ფრონტის ვერც ერთ ადგილზე. გზა-ტკეცილ მონდიდიე რუასთან ჩვენ მოვიგერეთ „ტანკების" რაზმი. „ტანკების" დიდი რიცხვი დახვრეტილია. პოპინკურის სამხრეთით ჩვენმა არტილერიის ცეცხლმა გაანადგურა შეტევისთვის მომზადებული ტანკები.

წამოყვანილი ტყვეები ამბობენ, რომ, მათ მიიღეს ბრძანება რომ რაც უნდა დაჯდომოდათ, გაერღვიათ ფრონტი. ჩვენ ხელთ ვიგდეთ რუქა, რომლითაც ჩვენ გავიგეთ ავრთან 17 აგვისტოს მტრის შეტევების გეგმა. როგორც ვიცით ამ დღეს მტერი დამარცხდა და დიდათ დაზარალდა.

მოსკოვი, 21 აგვისტო. მოსკოვის რადიოსადგურით რუსეთის ელჩს იოფეს ბერლინში გადაეცა შემდეგი დეპეშა ფრანგულ ენაზე:

1. ფრანგ ტყვეების დოკუმენტების შორის არის სამარაში მყოფ საფრანგეთის კონსულის წერილი, რომელშიაც ის ამბობს, რომ დამფუძნებელ კრების წევრთა კომიტეტს სამარაში არ აქვს სახსარი, საფრანგეთის კაპიტალი უნდა მოეხმაროს მას და ამისთვის სთხოვს საფრანგეთს 100 მილ. ეს ფული მიეცემა მხოლოდ არა სოციალისტურ მთავრობას. ის სცნობს აუცილებელ საჭიროდ არხანგელსკიდან სამარით ვლადივოსტოკამდე შეიქმნეს მთლიანი ფრონტი. საყვედურობს, რომ სამარის მთავრობაში დისციპლინა არ არის და თუ არა ჩეხო-სლოვაკები, მთავრობა ერთ კვირასაც ვერ იარსებებდა.

2. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა ენერგიული პროტესტი განუცხადა გერმანიის კონსულს ოსმალთა ჯარების—(გერმანიის მოკავშირის) ბაქოზე იერიშის მიტანის შესახებ, რომელიც ეწინააღმდეგება გერმანიის და ოსმალეთის მთავრობების ყველა დაპირებებს.

ივნისის დასაწყისში ოსმალთა ჯარები ქიურდამირში იყვნენ.

მოსკოვი, 21 აგვისტო. ივლისის შუა რიცხვებში საბჭოთა ჯარებმა ოსმალეთის ლაშქარი გეოქჩაის იქით განდევნა. 22 ივლისს ეპიდემიურ ავათმყოფობისა და წყლის უქონლობის გამო საბჭოთა ჯარებმა ალიათამდის დაიხია. 28 ივლისს ოსმალები ბალაჯარამდის მოვიდნენ. ბაქოში ლტოლვილთა დიდი ბრბოები იყო შეგროვილი. მცხოვრებთ ძალზე ეშინოდათ ამოჟლეტისა, თუ ვინიცობაა ოსმალები ქალაქს დაიკავებდნენ. 30 ივლისს ოსმალთა ლაშქრის უფროსმა შევკეტ-ფაშამ წერილი გამოგზავნა, სადაც ქალაქის გადაცემას მოითხოვდა. წერილი მუსულმანთა სახელობაზე იყო გამოგზავნილი, რომელშიაც იწერებოდა: „მე მოვდივარ, რომ ბარბაროსებიდან განგათავისუფლოთ". 31 ივლისს ოსმალებმა დაიკავეს ბიბიეიბათისა და შიხოვის მაღლობები. 4 აგვისტოს, არტილერიის მეოხებით ბაქოს სომარმა ძალებმა ოსმალები უკუ აქციეს, მაგრამ ხიფათი მაინც აუცილებელია, თუ ოსმალთა ჯარები მთლად არ დასტოვებენ ბაქოს მიდამოებს. ჩიჩერინი.

# უცხოეთი.

ამერიკაში

ამერიკული პრესა იხილავს ახლანდელ სამხედრო შეტაკებებს და დასკვნის, რომ ომი შეიძლება გათავდეს მხოლოდ მომავალ გაზაფხულზე, როცა მთავარ-სარდალ ფოშს თავის განკარგულებაში 3 მილიონი ამერიკული ჯარი ეყოლებათ.

გერმანიაში.

ბერლინიდან ცნობაა, რომ მერვე სამხედრო სესხის ხელის მოწერის ანგარიში დამთავრდა. ძველთან ერთად გერმანიის მთელი სამხედრო სესხების ვალი უდრის 88 მილიარდს.

პოლონეთში.

პოლონური გაზეთები იუწყებიან: „დავდივართ ფეხშიშველი. ვარშავის ნახევარზე მეტ მცხოვრებს როგორც ქალებს ისე ვაჟებს წინდები არ აცვიათ; ტყავის ძვირიან ფეხსაცმელზე ფიქრიც კი არ შეიძლება. ვარშაველი კოპწია ქალები დღესასწაულზედაც კი უფეხსაცმლოთ დადიან".

ფინლიანდიაში.

ფინლიანდიის მთავრობამ დაადგინა, გადაასახლოს ყველა ებრაელები, გარდა იმათი ვინც თეთრ გვარდიაში მსახურებს. 3-ს ენკენისთვეს თუ ებრაელები ფინლიანდიის საზღვრებიდან არ გავლენ მათ მოესპობათ სურსათის მიცემა.

## ნამეფარის მკვლელობის შესახებ მოსკოვში.

საბჭოთა ც. ა. კ. 18 ივლისის სხდომაზე, ნამეფარის მკვლელობის შესახებ, პრეზიდიუმის თავმჯდომარის სვერდლოვის მოხსენების შემდეგ ასეთი რეზოლიუცია გამოიტანეს. „ც. ა. კ. პრეზიდიუმმა მოისმინა მოხსენება და თათბირის შემდეგ დაასკვნა, რომ ურალის საოლქო საბჭოს დადგენილების სისრულეში მოყვანა, რომანოვის დახვრეტის შესახებ, სამართლიანი იყო, რასაც მთელი რუსეთის ს. ა. კომ. თავის პრეზიდიუმის სახით იდასტურებს.

## ამონაწერი

საქართველოს დემოკრატიული [illegible]სპუბლიკის მთავრობის დადგენილებიდან

საზავო დელეგაციის მიერ [illegible] გამოგზავნილი ყველა წინადადებანი ფულ[illegible] ბეჭდვის, სესხის, ტყიბულის ქვა-ნახშირის და თეთრი ნახშირის [illegible]ვათა შესახებ და პროექსპლოატაციის და [illegible] ექტები სავაჭრო [illegible]მრეწველო ხელშეკრულებათა გადაეცეს [illegible] გერმანელებთან ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს წინასწარ განსახილველად ეროვნულ საქმის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან ერთად, მცოდნე პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთაგან შემდგარ კომისიის თანამონაწილეობით, იმ პირობით, რომ ყველა ეს წინადადებანი და პროექტები განხილულ ან შემუშავებულ იქმნან ეროვნულ საბჭოს ამა 23 აგვისტოს 16 სხდომისათვის წარსადგენად.

---

1. მიენდოს სამხედრო მინისტრს დაუყონებლივ გაგზავნოს აბასთუმანში და აწყურში ჯარი იმ ადგილების დასაკავებლად, რომელიც დარჩა საქართველოს, ხოლო ქართველებთან ერთად გაიგზავნოს გერმანელთა ჯარიც (მხოლოდ ნაკლები ნაწილი).

2) მიენდოს მიწად-მოქმედების მინისტრს გაგზავნოს აბასთუმანში, ჯართან ერთად, თავისი წარმომადგენელი, რომელსაც დაევალოს შეადგინოს დაწვრილებითი ოქმი, გერმანელთა მისიის წარმომადგენლის თანადასწრებით და ხელის მოწერით, იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად არის გატაცებული და დარბეული ოსმალების მიერ აბასთუმანის სახელმწიფო ქონება.

3) მიენდოს გზათა მინისტრს, მისცეს თავის შეხედულებით გერმანელებს საშუალება გადაიყვანონ ჯარი რკინის გზით ბაქოსკენ.

4) გადაეცეს ადერბეიჯანის მთავრობას მუსულმანთა კორპუსის ქონება, ამ უკანასკნელის ანწუსხვით, ან შესაფერი ოქმის შედგენით.

---

სამხედრო მინისტრის მიერ წარმოდგენილი პროექტი სამხედრო უფროსების (Войнскіе начальники) შესახებ მიღებულ იქმნას, ხოლო დაევალოს შინაგან საქმეთა და სამხედრო სამინისტროებს შეიმუშაონ ახალო მომავალში ახალი პროექტი სამობილიზაციო ორგანოების მოწყობისა.

---

დაევალოს ფინანსთა სამინისტროს დაუბრკოლებლივ და რიგ გარეშე მოაწოდოს მიწათ მოქმედების სამინისტროს, მიწის რეფორმის დაჩქარებით ცხოვრებაში გასატარებლად, საჭირო თანხა, ამ საქმისათვის აიღეს გახსნილ 1.250.000 მან. კრედიტათ.

---

საერთაშორისო სალიკვიდაციო კომისიიდან ადერბეიჯანის მთავრობის წარმომადგენლის გასვლის გამო შეწყვეტილ იქმნას კომისიის მუშაობა, რაზედაც იქმნას შედგენილი შესაფერი ოქმი.

# ახალი ამბები.

### მთავრობაში.

◯ შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. ვ. რამიშვილის თავმჯდომარეობით 22 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში გაიმართა თათბირი ანარქიასთან ბრძოლის, ახალი სამხედრო-ვალდებულთა მობილიზაციის და ადგილობრივ მტკიცე ადმინისტრაციის შესაქმნელათ. თათბირში მონაწილეობდნენ: სამხედრო მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი—საშ. სტარაშვილი, სახალხო გვარდიის წარმომადგენლები, საგუბერნიო კომისრები და ნაციონალურ საბჭოს ზოგიერთი წევრები. დაადგინეს: ახალი კანონი სამხედრო ბეგრის მომხდელთა შესახებ გატარდეს მტკიცედ. დეზერტირები და მათი მფარველები სასტიკად დაისჯებიან. პასუხის მგებლობ უმეტეს ნაწილად საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო კომისრებს ევალებათ სასწრაფოდ მიღებულ იქნეს ენერგიული ზომები საქართველოში წესრიგის დამყარებისათვის. ამისთვის ხდება ყველა სამხედრო და სახალხო გვარდიის ძალების მობილიზაცია დაიგზავნებიან იქ, სადაც ანარქიული გამოსვლებია, პირველად ქუთაისის გუბერნიაში. საგუბერნიო კომისრებს ევალებათ დაატუსაღონ ყველა ის პირნი, რომლებიც თავის გამოსვლით არღვევენ სახელმწიფოებრივ წესრიგს და ხელს უშლიან საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას. საგუბერნიო კომისრებს ევალებათ ორი კვირის ვადაში შეადგინონ ადგილობრივი მტკიცე ადმინისტრაცია რისთვისაც მათ უნდა გაგზავნონ მაზრებში სპეციალური რწმუნებულები. წინადადება მიეცათ მიღებულ იქნას ზომები გადასახადების შესაკრებად. თათბირმა აღიარა, რომ ანარქია საქართველოში კლებულობს, ზოგან სრული სიმშვიდეა.

◯ შინაგან საქმეთა მინისტრმა დეპეშა მიიღო ბორჯომიდან გენ.-მაიორ თ-დ მაყაშვილისაგან, რომელიც იტყობინება, რომ დვირში აუარებელი ახალქალაქ-ახალციხიდან წამოსული ლტოლვილი თავს იყრის საქართველოს [illegible]რობის ნება-დაურთველად. ოსმალები მათ უკან [illegible]ბრუნების ნებას არ აძლევენ და ჩვენ კი არ [illegible]ებთ საქართველოსაკენო. დასასრულ გენ.-მ. მა[illegible]ილი სთხოვს მინისტრს რჩევას თუ როგორ მო[illegible]ცეს — გამოუშვას ლტოლვილნი საქართველოში [illegible] არა.

◯ შინაგან საქ[illegible]თა სამინისტროს საგანგებო რაზმმა შეიპყრო[illegible]და ციხეში დაატუსაღა ირტემ ნიკოლოზის ძე [illegible]ზუროვი, რომელსაც ბრალდება სპეკულიანტ[illegible] და ხურდა ფულის ვაჭრობა.

### სახალხო განათლება.

◯ მანგლისში მცხოვრებ ინტელიგენტთა წრემ შუამდგომლობა აღძრა სახალხო განათლების მინისტრის წინაშე რათა მან ნება დართოს მანგლისში გახსნან შერეული გიმნაზია რეალურ განყოფილებით, სადაც ასწავლიან როგორც ადგილობრივ მცხოვრებლების ბავშვებს, ისე ქალაქში მცხოვრებლების შვილთ.

### ერობა.

◯ ოზურგეთის მაზრაში არჩევნები დამთავრდა. უმეტესად მონაწილეობას ღებულობდა სოციალისტური ბლოკი.

◯ ექ. რუხაძემ თავისი მოხსენება წარუდგინა საექიმო-სასანიტრო საქმის უფროსს ექ. მ. ო. ზანდუკელს „საექიმო-საქმის მოწყობის შესახებ ერობის შემოღებამდის სოფლად.

◯ საერობო აღწერა გორის მაზრაში გათავდა. ამ დღეებში დაიწყება არჩევნები.

◯ სენაკის მაზრაში არჩევნები დასრულდა. არჩეულია სულ 326 ხმოსანი, მათ შორის სოციალისტები (სოც.-დემ. და სოფ.-ფედ.) 22 კაცი, სოც.-რევ. 7 და ნაც.-დემოკრატ. 3.

◯ საერობო დაწესებულებათა შემოღების მთავარი ინსტრუქტორის ცნობით, არჩევნები გაჩაღებულია. მცხოვრებლები განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან არჩევნებს. მაგალითად, თბილისის ახლო მდებარე რაიონში 9.646 ამომრჩეველთაგან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 6.005 კაცმა. გავიდა 7 სოც.-დემ. და 4 უპარტიო.

### სასამართლო.

◯ გორში ვერაგულად დალუპულ თბილისის მთავარ შტაბის ოფიცერ დავით ბეჟანის ძის წერეთლის გამოძიების საქმე გორის სარევოლიუციო ტრიბუნალმა უკვე დაასრულა და წარმოუდგინა თბ. სარევოლიუციო ტრიბუნალს განსახილველად. ჯალათურ მკვლელობის ბრალი ედება მთელ ბრბოს გ. როსტომოვის მეთაურობით შემდგარს. ამ საქმის გამო თბილისში ჩამოვიდნენ გორიდან ტრიბუნალის თავმჯდომარე ექიმი მ. ა. კობერიძე და წევრი ტრიბუნალისა მ. პ. კინწურაშვილი.

### ბაქოს ამბები.

◯ ი. რამიშვილი ბაქოში პირდაპირი მავთულით დაელაპარაკა აიოლს და ველენცს რომ ის იშუამდგომლებს გერმანიის მისიის წინაშე, რათა უსისხლოდ გადასწყდეს ბაქოს ბედი, თუ ასეთ შუამდგომლობას ისინი სასურველად დაინახავენ. უმანსკიმ უპასუხა ი. რამიშვილს რომ ეს ძლიერ სერიოზული საკითხია და გადაეცემა გადასაწყვეტად სამხედრო დიქტატორს და ცენტრ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს.

◯ განჯიდან იტყობინებიან, რომ ნურიფაშა ისევ წავიდა ბაქოს ფრონტზე. ოსმალოს მთავრობა საიდუმლოთ ინახავს ბაქოსს ამბებს.

◯ კერძო ცნობებით, ბაქოსთან განახლდა ბრძოლა ოსმალოების, ადერბეიჯანელების და ბაქოს ჯარების შორის. აქსთაფით წავიდა არტილერიის ორი ეშელონი. ოსმალოებს მოაქვთ ბაქოში შორს მტყორცნელი ზარბაზნები, რომლებიც ხელთ იგდეს მათ ბაქოში.

### კრებები და საზოგადოებანი

◯ ინჟენერთა და ტეხნიკოსთა ქართულ ამხანაგობის საზოგადო კრება დანიშნულია დღეს, კვირას, აგვისტოს 25-ს, ქართულ სასოფლო-სამეურნეო ბანკის დარბაზში, სასახლის ქუჩა, № 6, დილის 11 საათზე. განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები (ამხანაგობის მომავალი მოქმედების გეგმა, გამგეობის არჩევა და სხ.). დასწრება შეუძლიათ ამხანაგობაში შესვლის მსურველთაც.

### ხოლერა.

◯ უკანასკნელ დღეს ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 6 ხოლერიანი და 3 საეჭვო ავადმყოფი. მორჩა 1. გარდაიცვალა 1 ხოლერიანი ბავში.

23 აგვისტოს სულ იყო 69 ხოლერიანი და 28 საეჭვო ავადმყოფი.

◯ ქალაქიდან ფოთამდის და მის ახლო-მახლო მდებარე ადგილებში ხოლერასთან საბრძოლველ საქმის მოსაწყობათ საექიმო სასანიტრო უფროსმა გაგზავნა პროფ. შირაკაგოროვი.

◯ როგორც ფოთიდან საექიმო—სასანიტარო განყოფილებას ატყობინებენ ხოლერას იქ ძალიან უკვლია.

### სხვა და სხვა ამბები.

◯ რადგან რუსულ ნაციონალურ საბჭოში ბევრმა აღძრა შუამდგომლობა რათა მათ მიეცეთ ბათუმში წასვლის ნება, ნაციონალური საბჭო აცხადებს, რომ ის თითონ არ იძლევა ბათუმში წასვლის ნებას, ის მხოლოდ უგზავნის შუამდგომლიბას ორი ფოტოგრაფიულ სურათით ბათუმის კომენდანტს, რომელზედაც დამოკიდებულია ბათუმში წასვლის ნებართვის მიცემა.

◯ გერმანიის მისიის უფროსმა, გენერალ ფონ-კრესმა დეპეშა მიიღო ხალილ-ფაშისგან, რომ ოსმალოები აბასთუმანსა და აწყურს სცლიან.

◯ სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის ცნობით ახალი აფონის რაიონში ოსმალთა ბრბო თავს დაესხა სახალხო გვარდიას. თავდასხმა მოგერებულ იქნა და ოსმალოები დიდათ დაზარალდნენ. სახალხო გვარდიის მხრით დახოცილები და დაჭრილება არიან.

◯ ერევნიდან ჩამოსულთა სიტყვით ჯულფის მხრიდან დაჭრილი ასკერები ჩამოჰყავთ. ოსმალებმა წინადადება მისცეს გუმბრის მცხოვრებს თავიანთ ცოლ-შვილი გაგზავნონ ქალაქიდან. ქალაქიდან ოსმალების დიდძალ სხვა და სხვა საქონელს ეზიდებიან.

## ჰაიასტანის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის დეკლარაცია.

(წაკითხული 3 აგვისტოს სომხეთის ეროვნულ საბჭოში)

„ჩემ მიერ შედგენილმა მთავრობამ განსაკუთრებულ ძნელ პირობებში დაიწყო მოქმედება. მან უნდა განახორციელოს ახლად დაბადებულ სახელმწიფოს აღმასრულებელი ძალა, იმ სახელმწიფოსი, რომელიც ჯერ სრულიად არ არის ჩამოყალიბებული. მთავრობას წარსულში არა აქვს რაიმე დასაყრდნობი, იგი არ არის მემკვდრე ძველი მთავრობისა. უკვე დაწყებულ სახელმწიფოებრივ შრომის გასაგრძელებლათ მას არ მიუღია ძველი მთავრობისგან გამოსადეგი გზა, აპარატი. იგი იძულებულია სუყველაფერი ახლათ დაიწყოს; მან უფორმო ქაოსიდან და ნანგრევებიდან უნდა შეჰქმნას სიცოცხლისა და შრომის მქონე ერთი ცენტრალური ორგანო.

მეორე მხრივ მთავრობა ჰხედავს, რომ ჩვენი ქვეყანა იმყოფება იმისთანა მდგომარეობაში, რომლის დამახასიათებელია ერთი სიტყვა:

— „კატასტროფიული“.

ოთხი წლის ომი, დიდი რევოლიუცია, რუსეთის მხედრობის მეომრების ფრონტიდან გაქცევა, იმპერიის დაშლა, ჩვენი დამარცხება, ჩვენი ტერიტორიის დაკარგვა, ამიერ-კავკასიის დაყოფა დამოუკიდებელ რესპუბლიკებით და ყოველივე ამისთანა ძირითად შერყევას არ შეეძლო საშინელი კვალი არ დაეტოვებინა. ეკონომიურ ცხოვრების და ფინანსიურ მდგომარეობის სრულიად დაშლამ, მრეწველობის და ვაჭრობის მოუწესრიგებლობამ, რკინის გზის მოძრაობის შემცირებამ, საშინელმა სიძვირემ, საქონელ-სურსათის უქონლობამ და უსახლ-კარო ლტოლვილების უმწეო მდგომარეობამ შეჰქმნა საშინელი ანარქია. აი ის მძიმე პირობები, რომელშიაც ჩვენმა მთავრობამ სახელმწიფოებრივი მუშაობა დაიწყო. ეს განსაკუთრებული მდგომარეობა უკვე ახასიათებს ჩვენს მთავრობას. მას არ შეუძლიან ისწრაფოს მრავალფეროვან მოღვაწეობისაკენ, არ შეუძლიან ფართო პროგრამის შედგენა და უნდა შეიზღუდოს ყველაზე უფრო საჭირო და გადაუდებელ საკითხებით.

დაშლის პროცესის შეჩერება, ქვეყნის გამოყვანა ანარქიულ მდგომარეობიდან და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისთვის საჭირო პირობების შექმნა—აი რა არის მისსია ეხლანდელი მთავრობისა. ამის თანახმად მთავრობას გადასაჭრელი აქვს შემდეგი საკითხები:

შინაური პოლიტიკა:

1. შინაური პოლიტიკის მიზანია ჩვენს მხარეში ელემენტარული წეს-წყობილების დაწესება; მოქალაქეთა სიცოცხლისა და ქონების ხელუხლებლობის უზრუნველყოფა.

2. ფოსტის და ტელეგრაფის ურთიერთობის აღდგენა.

3. ენერგიული საშუალების მიღება სასურსათო საქმის გამეფებულ მწვავე კრიზისის შესამსუბუქებლათ.

4. ლტოლვილთა საკითხის მოწესრიგება თავიანთ ძველ ალაგებში უკან დაბრუნებით ან ახალ ალაგებში დასახლებით.

5. ჰაიასტანის დამფუძნებელ კრების სასწრაფოთ მოწვევა.

ფინანსები:

საკუთარ ფულის სისტემის შექმნის ნიადაგის დამზადება; საშუალებების პოვნა ფულის ნიშნების უზრუნველყოფისთვის, მრეწველობის აღდგენა, საქონლის გაცვლა-გამოცვლის მოწესრიგება და აგრეთვე ხარჯის სალი სისტემის შემუშავება.

(დასასრული იქნება)

## საყურადღებო განცხადება.

მოძრაობის სამსახურის უფროსის ბ. აბელოვის გადმოცემით (ტელეფონოგრამა) საქართველოს რკინის გზათა მართველობა აცნობებს, რომ სამგზავრო მატარებლები №№ 9/10 და 11/12, რომლებიც თბილისსა და ქუთაისს შუა დადიოდნენ, სათბობი მასალის უქონლობის გამო 26 აგვისტოდან აღარ ივლიან.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ოსმალეთის მთავარი შტაბი.

სარწმუნო წყაროებიდამ მიღებულ ცნობებით „ორიზონი“ იუწყება, რომ მესსოპოტამიის ოსმალთა ჯარის მთავარი შტაბი ალექსანდროპოლში დაბინავდება, ხოლო შტაბი ოსმალთა კორპუსის, რომელიც ამხანად ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე მოქმედობს ძველ ნახიჩევანში.

---

გინდენბურგი.

გაზ. „ფოს. ცეიტ.“ კორრესპოდენტთან baaსის დროს ფელდმარშალ გინდენბურგს უთქვამს: „ჩემი მოვალეობაა მომჭირნეობით მოვეპყრა ჯარს. სწორედ ამიტომ გადავიტანე ბრძოლის ასპარეზი ჩვენთვის უფრო სასარგებლო ადგილას, რომ ჯარს სწრაფი და კარგი სურსათის მიწვდით ბრძოლა გაუადვილო. აცნობეთ სამშობლოს ჩვენი ჯარების გმირობა რწმენა გამარჯვებისა. არც ფრონტისთვის და არც ზურგისთვის ომის მეოთხე წელიწადი სახუმრო არ არის. ეს ყველამ კარგათ ვიცით და ამიტომ ზავი ყველას გვინდა. მაგრამ ზავის ჩამოგდებამდე მტერს წინ უნდა აღუდგეთ ძველი პროფესიული გერმანული ძალით და თუ ჩვენ კიდევ ასე ვიომებთ, როგორც ამ ოთხი წლის განმავლობაში, მაშინ მივაღწევთ ზავს.

---

ყოფილი მეფის ოჯახი.

ესპანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა წინადადებით მიმართა ყველა მეომარ სახელმწიფოთა მინისტრთა საბჭოებს, რომ ყოფილ დედოფლის და მისი ასულთა ესპანიაში გადაყვანის საქმეში მას ხელი შეუწყონ. „ჰავასის“ სააგენტოს შეკითხვაზე, ისპანიის პრემიერ-მინისტრმა უპასუხა, რომ მადრიდის კაბინეტმა მართლაც გადასდგა ასეთი ნაბიჯი ესპანიის მეფის დავალებით.

---

ეიხგორნის მკვლელის დასჯა.

კიევიდან იტყობინებიან, რომ გერმანულ სასამართლოს განაჩენით ლუკიანოვკის მოედანზე, ტელეგრაფის ბოძზე ჩამოახრჩვეს ეიხგორნის შვილი მეზღვაური დანსკოი. გვამი ბოძზე ორი საათი ეკიდა.



## განცხადებები

ამა წლის 15 ივლისს დაიკარგა თბილისის პირველი კერძო ლომბარდის ბილეთი № 76686 50 მანეთისა. 3—2.

---

გენერალ მაიორი ლახოვსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა: 1. მოწმობა, მიღებული რუსულ ნაციონალურ საბჭოდან წასვლის შესახებ; 2. ასეთივე მოწმობა საგუბერნიო კომისარიატიდან მიღებული; 3. მიწერილობა ყუბანის ატამანთან გამოცხადების შესახებ; 4. მოწმობა № 2408 სამხედრო მინისტრისა ვინტოვკის გადატანის შესახებ; 5. მოწერილობა I რანგის კაპიტანის ვერხოვსკის ფოთის პორტის უფროსთან თუაფსეში და ნოვოროსისკში წასვლის შესახებ. ყველა ზემო აღნიშნული დოკუმენტები გაუქმებულად ითვლება. 3—3

---

ალექსანდრე გრიგოლის ძე გორგიშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა მოწმობა რევოლვერის ტარების შესახებ, მიღებული თბილისის საგუბერნიო კომისარისგან ამა წლის 3 აგვისტოს № 1863 და პასპორტი მიღებული დუშეთის ქალაქის სამმართველოდან 1912 წ. ნოემბერში. 3—3.

---

კ. ი. მოსკოვსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პიროვნების მოწმობა № 244, მიღებული 1915 წელს. 3—2

---

სერგო ივანესძე ენიკოლოფოვი აცხადებს, რომ მან დაკარგა ტალონი მიღებული თბილისის საოლქო სასამართლოდან ივანე ვასილეძე ნასიბოვის სახელზე ენიკოლოფოვის გადასაცემად 480 მან., მოწმობა მიღებული თბილისის საოლქო სასამართლოდან, რომ ენიკოლოფოვი არის ნაფიცი ვექილის თანაშემწე და მოწმობა მიღებლლი თბილისის ქალაქის სამართველოდან, სამხედრო ბეგარის მოსახდელად თავის დროზე გამოცხადების. 2—1.

---

სასამართლოს ბოქაული პირველი მომრიგებელი განყოფილებისა თბილისში—ზამოისკი აცხადებს, რომ 1918 წ. 4 სექტემბერს დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა დემოსფენ პანტაზიდისის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეადგენს სახლის მოწყობილებას, და რომელიც შეფასებულია 385 მან. ვაჭრობა მოხდება პანტაზიდის ბინაზე, ჭავჭავაძის ქუჩა, № 23, ბინა 5.

---

სასამართლოს ბოქაული პირველი მომრიგებელი განყოფილებისა თბილისში—ზამოისკი აცხადებს, რომ 1918 წლის 13 სექტემბერს დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ვასილ აბოვიანცის უძრავ ქონებაზე—საპურმლე შკაფი, რომელიც შეფასებულია 600 მან. ვაჭრობა მოხდება აბოვიანცის ბინაზე, ოლღის ქუჩა, № 3, ბინა 20.



სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი ვ. დ. საყვარელიძე.